



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 6 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №92/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 10 აგვისტოს №92 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 13 აგვისტოს №368/92-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ ერთი და იგივე ხელწერილი ერთ საქმეში იურიდიული ძალის მქონედ სცნო, ხოლო მეორეში არა. აღნიშნულით მხარეს მიადგა მატერიალური ზიანი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. საქმე №--

2018 წლის 10 სექტემბერს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე -- -- მიმართ და მოითხოვა სამკვიდრო ქონების გამოთხოვა.

-- -- შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2018 წლის 24 სექტემბერს.

-- -- სასამართლოს მოსამართლის, -- -- 2019 წლის 1 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; -- -- დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მამის დანაშთი ქონების -- ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარემ გაასაჩივრა 2018 წლის 21 ნოემბერს.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინებით -- -- საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 10 იანვრის განჩინებით მოპასუხე -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2018 წლის 1 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაიწყო სარჩელის განხილვა.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

2.2. საქმე №--

2019 წლის 22 აგვისტოს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა.

ნოტარიუსმა -- -- შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2019 წლის 3 სექტემბერს, ხოლო -- -- 6 სექტემბერს.

-- -- სასამართლოს მოსამართლის, -- -- 2019 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.3. საქმე №--

2020 წლის 7 აპრილს -- -- სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა -- -- სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლება.

-- -- სასამართლოს მოსამართლის, -- -- 2020 წლის 15 მაისის განჩინებით -- -- განცხადება -- -- სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველად.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მტკიცებულებათა წარდგენის მოვალეობას მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის დასადგენად, კანონმდებელი აკისრებს იმ მხარეს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილი და მოსახერხებელია. მოსარჩელე მოვალეა დაამტკიცოს ფაქტები, რომელთა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობის ვარაუდის შესახებ, ხოლო იმ ფაქტების მტკიცების ტვირთი, რომლებიც ასეთ ვარაუდს გააქარწყლებენ - დაკისრებული აქვს მოპასუხეს. თავად მტკიცებულების შეფასების, მისი გათვალისწინებისა თუ მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რა სახით მოპოვებული მტკიცებულება ჩაითვლება კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად, შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლე აფასებს მტკიცებულების მოპოვება ხომ არ ეწინააღმდეგება რაიმე კანონს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მტკიცებულების შეფასების, იურიდიული ძალის მინიჭებისა თუ მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების საკითხს, აღნიშნული სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული მტკიცებულების შეფასებისა თუ განჩინების/გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები შეეხება მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა შეფასებისა და მათ საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

შეწყდეს -- -- 2021 წლის 10 აგვისტოს №92 საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი